საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებული რეკომენდაციების პაკეტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ მიერ შემუშავებულ საბიუჯეტო ინიციატივებსა და რეკომენდაციებს, რომელიც ეყრდნობა ჩვენს დაკვირვებებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის იორმუღალოს 8 სოფელში არსებულ სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

ცხადია, ჩვენ გვესმის ადგილობრივი თვითმმართველობის რესურსებისა და უფლებამოსილებების შეზღუდულობის საკითხი, ასევე ადმინისტრაციული ორგანოების დისკრეციის ფართე ზღვარი და ის, რომ შეიძლება მათ უკეთ იციან კონკრეტული საკითხების გადაჭრის გზები. ჩვენს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების მიზანი უფრო მეტად ჩვენთან ადგილობრივი თემების მიერ გაზიარებული პრობლემების აქტუალიზება და პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენებაა. იმედს გამოვთქვათ, რომ აღნიშნული დოკუმენტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ადამიანის უფლებების დაცვაზე და რეალურ სოციალურ საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოებაში დაეხმარება.

ამ მიზნით გიზიარებთ სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ მომზადებული საჭიროებების შეფასებებს, რომელიც ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე.

აქვე გამოვხატავთ ჩვენს მიდგომას, რომლის გათვალისწინება არსებითია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ.

1. **ეთნიკური უმცირესობების ორმაგი სოციალური და პოლიტიკური გარიყულობა და არსებითი თანასწორობისთვის სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური პოლიტიკური მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა.** ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობა, სოციალური ინკლუზია, განათლების უფლების თანასწორი რეალიზება ორმაგადი გამოწვევების წინაშე დგას ჩვენს ქვეყანაში, რასაც არა ერთი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა, მათ შორის, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიაც, ადასტურებს. მაგალითად, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ 2021 წელს ჩატარებული რაოდენობრივი კვლევისა და სოციალური სამართლიანობის ცენტრის ანალიზის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობები 15%-ით უფრო ღარიბები არიან, ხოლო უმაღლესი/ტექნიკური განათლების მაჩვენებელი უმცირესობებს შორის დაახლოებით 2 ჯერ უფრო ნაკლებია. ამავე კვლევის მიხედვით, კახეთის ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაში სრული ზოგადი განათლების არმქონე მოსახლეობის რაოდენობა 54%-ს უტოლდება. ხოლო სკოლამდელი განათლება კახეთის ეთნიკური აზერბაიჯანელების 56%-ისთვის ხელმიუწვდომელია. **შესაბამისად, არსებითია, რომ სახელმწიფომ არსებული ასიმეტრიული და უთანასწორო უფლებრივი და სოციალური მდგომარეობა ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და სოციალური ინკლუზიის მიზნით სპეციალური პოლიტიკების გატარებითა და გაორმაგებული პოზიტიური ძალისხმევის გაწევით აღმოფხვრას.** ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციებიც სწორედ ამგვარი მოწოდებას და მიდგომას ეფუძნება.

2. **სოციალური უფლებების პროგრესული რეალიზების პრინციპი.** ამასთან ჩვენ წარმოდგენილ რეკომენდაციაში გათვალისწინებული სოციალური უფლებების რეალიზების ნაწილში სრულად ვიზიარებთ, მათი პროგრესული რეალიზაციის კონცეფციას, რომელიც ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებს აქვთ მუდმივი და განვითარებადი პასუხისმგებლობა შეასრულონ და დაიცვან თავიანთი მოქალაქეების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. სოციალური უფლებები, ასევე ცნობილი როგორც სოციალურ-ეკონომიკური უფლებები ან კეთილდღეობის

უფლებები, მოიცავს ადამიანის უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია ინდივიდების კეთილდღეობასთან და ღირსებასთან, როგორიცაა განათლების, ჯანმრთელობის, საცხოვრებელი და სამუშაოს უფლება. ტერმინი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების „პროგრესული რეალიზება" გულისხმობს პრინციპს, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გადადგან ნაბიჯები, მათი არსებული რესურსებით, რათა დროთა განმავლობაში თანდათან მიაღწიონ ამ უფლებების სრულ რეალიზებას. სოციალური უფლებების პროგრესული რეალიზაციის ძირითადი ელემენტებია: 1. **რესურსების შეზღუდულობა:** ეს პრინციპი აღიარებს, რომ სახელმწიფოებს შეიძლება შეექმნათ რესურსების შეზღუდვები და, შესაბამისად, სოციალური უფლებების სრული რეალიზაცია შეიძლება დაუყოვნებლივ არ იყოს **მიღწეული. თუმცა, ის მოითხოვს სახელმწიფოებს გადადგან მიზანმიმართული, კონკრეტული და მიზანმიმართული ნაბიჯები ამ უფლებების რეალიზაციისკენ, თუნდაც ეს მოხდეს თანდათანობით.** 2. **დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანასწორობა:** სახელმწიფოებისგან მოელიან, რომ სოციალური უფლებების პროგრესული რეალიზაციის სარგებელი სამართლიანად გადანაწილდეს და მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფები არ დაზარალდნენ არაპროპორციულად. 3. **მინიმალური ძირითადი ვალდებულებების პრინციპი:** მიუხედავად იმისა, რომ სრულ განხორციელებას შეიძლება დრო დასჭირდეს, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეასრულონ გარკვეული ძირითადი ვალდებულებები. ეს ძირითადი ვალდებულებები მოიცავს ისეთ აუცილებელ სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფას, როგორიცაა დაწყებითი განათლება, ძირითადი ჯანდაცვა და აუცილებელი საკვები. ამდენად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები სოციალური და კულტურული უფლებების რეალიზებისთვის საჭირო თანმიმდევრული პოლიტიკების დანერგვასა და განხორციელების მიდგომზე დგას. ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ, რომ სახელმწიფოს (ადგილობრივ თვითმმართველობას ამ შემთხვევაში) შეიძლება არ გააჩნდეს მათი პირდაპირი და დაუყოვნებელი რეალიზების რესურსები, **მაგრამ უნდა შექმნას გეგმა, პოლიტიკა და მოახდინოს შესაბამისი საბიუჯეტო რესურსების მობილიზება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ საბოლოო და სრულ რეალიზეციას.** ამასთან არსებითია გავაცნობიეროთ, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური, ისევე როგორც სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები **არის უნივერსალური, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული და** შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების ნაწილში სოციალურ გარიყულობასთან დაკავშირებული პრაქტიკები პირდაპირ ახდენს გავლენას მათ პოლიტიკურ მონაწილეობაზე და სხვა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების რეალიზებაზე.

3. **ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობის აუცილებლობა, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შუქზე.** ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის შესახებ, წევრ სახელმწიფოებს უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობისთვის სათანადო პირობების შექმნას ავალდებულებს. კონვენცია არ აკონკრეტებს, რა იგულისხმება სათანადო პირობებში, თუმცა მის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ კონვენციის მე-15 მუხლი მიზნად ისახავს წაახალისოს რეალური თანასწორობა ეთნიკურ უმცირესობას და უმრავლესობას შორის. სწორედ ამგვარი სათანადო პირობების შესაქმნელად, განმარტებით ბარათში რამდენიმე საშუალებაა განხილული: 1. კონსულტაციები უმცირესობის წარმომადგენლებთან შესაბამისი პროცედურების გზით, განსაკუთრებით, წარმომადგენლობითი ინსტიტუციების გავლით, სადაც მხარეები ადმინისტრაციულ თუ საკანონმდებლო ფუნქციებს ასრულებენ; 2. ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა ეროვნული თუ რეგიონული განვითარების გეგმების მომზადებაში, შესრულებასა და შეფასებაში, რომლებიც უმცირესობებზე ახდენს გავლენას; 3. კვლევების ჩატარება იმის შესაფასებლად, თუ რა გავლენას ახდენს დაგეგმილი პროექტები უმცირესობებზე 4. უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არჩევით ინსტიტუციებში

ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე; 5. ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზებული ფორმები. კომიტეტი აღნიშნავს, რომ საკონსულტაციო მექანიზმები დამატებითი გზაა გადაწყვეტილების მიღების პროცესში უმცირესობების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მსგავსი მექანიზმები კი განსაკუთრებით მაშინ არის საჭირო, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს უმცირესობების საპარლამენტო დონეზე, ან სხვა არჩევით სისტემებში მონაწილეობის მექანიზმები, ხოლო უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობის და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ხარვეზებია.

აქვე ხაზგასასმელია, **ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის** [**დამატებითი ოქმი,**] რომელიც ადგენს ადგილობრივი ხელისუფლების საქმეებში მოქალაქეების მონაწილეობის უფლებას. ქარტიის შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების საქმეებში მონაწილეობის უფლება ნიშნავს მოქალაქის უფლებას რეალური გავლენა მოახდინოს ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობების განხორციელებაზე. ქარტიის შესაბამისად, მონაწილეობის უფლების განმახორციელებელი ღონისძიებები მათ შორის, შეიძლება იყოს: მოსახლეობის მონაწილეობის სხვადასხვა მექანიზმები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს საკონსულტაციო პროცესებს, ადგილობრივ რეფერენდუმებსა და პეტიციებს; ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის პროცედურები; ღონისძიებებს იმ კატეგორიის ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც აწყდებიან მონაწილეობის სპეციფიკურ ბარიერებს; ადგილობრივი ხელისუფლებისა და საჯარო სამსახურების საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივ დონეზე საჩივრებისა და წინადადებების განხილვისა და მათზე რეაგირების მექანიზმებსა და პროცედურებს; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების წახალისება ამ ოქმში დადგენილი მონაწილეობის უფლების გასაადვილებლად.მხედველობაში მიიღებენ წარმოდგენილ რეკომენდაციებს და საჯარო განხილვის ფორმატში მათი კიდევ უფრო დეტალური განხილვის შესაძლებლობას მოგვცემს.

მნიშვნელოვანია, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იქნას შემდეგი მიმართულებების დაფინანსება:

- **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში უმცირესობის ენაზე თარგმნის რესურსების შექმნა** (დანართი 1)
- **იორმუღანლოს სოფლებში შესასვლელი ხიდის რეაბილიტაცია** (დანართი 2)
- **სოფელ ყაზლარში ასფალტის საფარის დაგება** (დანართი 3)
- **სოფელ თულარში საბავშვო ბაღის აშენება** (დანართი 4)

აღნიშნულ საბიუჯეტო ინიციატივებთან ერთად, გვსურს, რომ კონკრეტული რეკომენდაციებით მოგმართოთ შემდეგი საკითხების გადაწყვეტის მიზნით:

რეკომენდაცია :1

სასმელი და სარწყავი წყლის ინფრასტრუქტურის შექმნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პრობლემაა სასმელი და სარწყავი წყალი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის იორმუღანლოს თემის 8 სოფელში, სასმელი წყლის საკითხი მწვავე გამოწვევაა. განსაკუთრებით პრობლემურია სოფლები: ზემო და ქვემო ლამბალო, თულარი, ქეშალო, პალტო, ხოლო სოფლებში კაზლარი და დუზაგრამი წყლის მილები გაყვანილია, თუმცა, წყალი მოსახლეობას რეგულარული გრაფიკითაც არ მიეწოდებათ და მოსახლეობა კვირების და თვეების განმავლობაში რჩება სასმელი წყლის გარეშე. სოფლის მოსახლეობა გამოთქვამს წუხილებს სარწყავი წლის საკითხთან

დაკავშირებითაც. მაშინ როდესაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ჩართულია სოფლის მეურნეობაში, სარწყავი წლის საკითხი მოსახლეობისთვის კრიტიკული მნიშველობის საკითხია.

საზოგადოების განვითარება სრულად თუ არა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წყლის რესურსების რაოდენობასა და ხარისხზე. უსაფრთხო სასმელ წყალზე შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის უფლება, პირდაპირ კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და კეთილდღეობასთან. წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების უგულებელყოფით ირღვევა თითოეული ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორიცაა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, განათლების, პირადი ცხოვრების, ღირსების, სოციალური და ეკონომიკური უფლებები. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით თითოეული სახელმწიფო, ვალდებულია უზრუნველყოს წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების აღიარება, დაცვა და განხორციელება. წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების დაცვის მთავარი ვალდებულება, ვრცელდება როგორც ცენტრალურ ასევე ადგილობრივ ხელისუფლებაზეც. საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გარემოს დაცვა და ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უფლებების დაცვისთვის ადეკვატური პირობების უზრუნველყოფა. ასოცირების შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს ასევე იღებს ვალდებულებას წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია: ***არსებითია, საგარეჯოს მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს იორმუღანლოს თემის სოფლებში სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული გამოწვევები და საჭიროებები და შექმნას თანმიმდევრული და ეტაპობრივი გეგმა წყალზე ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზებისთვის. ამ პროცესში არსებითია სახელმწიფომ პირველ რიგში გაითვალისწინოს ყველაზე მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ოჯახების და ჯგუფების საჭიროებები.***

რეკომენდაცია 2:

წვდომა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე:

მოსახლეობასთან საუბრის დროს, ერთ-ერთ ისტორიულ შექმნილ პრობლემად სახელდება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ხელმისაწვდომობა. იორმუღანლოს მოსახლეობისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწები, არსებითი მნიშვნელობის რესურსია, თუმცა მოსახლეობის თქმით, სოფლის მიწები (სახნავ-სათესი და საძოვრები) წლებია, უსამართლოდ და უკანონოდ სხვისდება, მათ კი საკუთარი ინტერესების დაცვა არ შეუძლიათ. ხშირია ოჯახები, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს მიწა, გარდა საკარმიდამო ნაკვეთისა. ისინი აცხადებენ, რომ სოფელში სახლის ასაშენებელი მიწაც კი აღარ მოიპოვება. მათი აზრით, სოფლის მეურნეობაში ჩართვა და საკუთარი მეურნეობის განვითარება იმ პირობებში, როცა სარწყავი სისტემა არ არსებობს, მიწების დიდი ნაწილი კი პრივატიზებულია კონკრეტული პირების საკუთრებაში, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის შეუძლებელია.

მიწებს უსამართლოდ ითვისებს მერის რწმუნებული სოფელში, რომელსაც 90 ჰექტარზე მეტი მიწა აქვს მისაკუთრებული.[1] მოსახლეობამ რამდენჯერმე მიმართა შესაბამის ორგანოებს ამ საკითხთან დაკავშირებით. სოციალური სამართლიანობის ცენტრმა შეისწავლა ეს საკითხი და საქართველოს პროკურატურას მიმართა, თუმცა ჯერჯერობით არავის პასუხისმგებლობა არ დამდგარა. მიწის არარსებობის პირობებში, მოსახლეობას ურთულდება ეკონომიკური საქმიანობაც. ისინი ხშირად იჯარით იღებენ მიწას, რომელზეც აგროკრედიტის აღება ურთულდებათ, შესაბამისად, მიმართავენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, რომლებიც უფრო მაღალი პროცენტით გასცემენ სესხს. მაღალი

[1] ამ საკითხზე ჟურნალისტური გამოძიებას შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ ბმულზე: https://ifact.ge/duzagrama/?fbclid=IwAR21dsC6Npj5xG_EXQ45fa-57Xhb7ZNZWizqOLM3FaYivh1kknU8B3K0Sa4

პროცენტის გამო, მოსახლეობას ხშირად უჭირს ბანკის ვალების გადახდა.

რეკომენდაცია: *ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეისწავლოს იორმულანლოს თემში მიწის გადანაწილებასთან და განსხვისებასთან დაკავშირებით მოსახლეობის საჭიროებები და საჩივრები და პრობლემის მასშტაბი და 1. ერთის მხრივ, კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე მიიღოს ყველა სამართლებრივი ზომა მოსახლეობის უფლებების დაცვისთვის; 2. მეორეს მხრივ კი, ადმინისტრაციული თანამშრომლობის ფარგლებში სხვა რელევანტურ უწყებებთან თანამშრომლობის გზით, ხელი შეუწყოს მოსახლეობისთვის ალტერნატიული მიწის რესურსებით უზრუნველყოფის პროცესს.*

რეკომენდაცია 3:

ინტერ-კულტურული სივრცეების და პრაქტიკების შექმნა

საკონსულტაციო მექანიზმებს არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ დღის წესრიგში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საჭიროებების, უფლებების და ინტერესების დასაყენებლად და გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე მათი გავლენის გასაზრდელად. ამავე დროს, საკონსულტაციო მექანიზმები დელიბერაციისა და ინტერკულტურული დიალოგის, მშვიდობისა და სოლიდარობის ხელშემწყობი სივრცეებია და მას მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმები მიზნად ისახავს ყველა მოქალაქის, მათ შორის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საჭიროებების და წუხილების მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე მიტანას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მექანიზმები ადგილობრივ დონეზე სუსტად მუშაობს და რეალური მონაწილეობის და დემოკრატიის პლატფორმებად არ არის ქცეული. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ამას ემატება სისტემური გამოწვევები (ენის პოლიტიკა, ენის ცოდნა, დემოკრატიული პრაქტიკების სუსტი გამოცდილება, სუსტი რეპრეზენტაცია, გაუცხოების და უნდობლობის მაღალი დონე, სოციალური ფრუსტრაცია და ა.შ.), რომლებიც ამგვარი მექანიზმების ეფექტიან და რეალურ მუშაობას კიდევ უფრო ართულებს.

რეკომენდაცია: *არსებითია ადგილობრივმა თვითმმართველობამ გააძლიეროს არსებულ სამოქალაქო საბჭოებში ეთნიკური უმცირესობების რეპრეზენტაცია და მათი რეალური მონაწილეობა. ამასთან შექმნას ინტერკულტურული თანამშრომლობის პრაქტიკები, მათ შორის, ამგვარი სათემო ცენტრების, კულტურის სახლების, ადგილობრივი კულტურის პოლიტიკაში მულტიკულტურული მიდგომების აქტიური დანერგვის გზით.*

რეკომენდაცია 4:

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურისა და მათი სამუშაო ინსტრუმენტების გაძლიერება და სენსიტივიზაცია

მნიშვნელოვანია სოციალურ სამსახურში მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდეს თანამშრომლების გაძლიერება ტრენინგებისა და სხვა დამხმარე სასწავლო კურსების მეშვეობით. ადგილობრივი ხელისუფლებას ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია არ აქვს. შესაბამისად, სოციალურ სამსახურში დასაქმებულმა სოც. მუშაკებმა უნდა შეძლონ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობის გამოსაკვეთად ყოვლისმომცველი და სამართლიანი კრიტერიუმების შემუშავება და მათი გამოყენებით მოწყვლადი ოჯახებისა და მათი საჭიროებების ბაზის შექმნა. ამასთან მნიშვნელოვანია დამატებითი სამუშაოების ჩატარება სახელმწიფოს სოციალური პროგრამებისა და მათთვის მიმართვის პროცედურების შესახებ მოსახლეობის უკეთესი ინფორმირებისთვის.

რეკომენდაცია 5:

ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაძლიერება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. იორმუღანლოს თემიდან ქალები პრაქტიკულად არ არიან წარმოდგენილები ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციაში. სუსტია ქალების მონაწილეობა სოფლის კრებებზეც.

რეკომენდაცია: ***მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს, ერთი მხრივ, ქალთა რეალური საჭიროებები და წუხილები და ისინი საკუთარ პოლიტიკაში ასახოს, მეორე მხრივ, კი იკვლიოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა დაბალი პოლიტიკური მონაწილეობის მიზეზები და მას სპეციალური ზომებით უპასუხოს. ამგვარი ზომები მათ შორის შეიძლება იყოს, სოფლის კრებებზე ქალთა ორგანიზების და მონაწილეობის სპეციალური, სათანადო ცოდნითა და მგრძნობელობით აღჭურვილი ფასილიტატორების ინსტიტუტის გაჩენა, თვითმმართველობის სამსახურებში ქალების დასაქმების წახალისება, სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სერვისების შესახებ ადგილობრივი ქალების პროაქტიული ინფორმირება კამპანიების გზით.***

რეკომენდაცია 5:

სანტრანსპორტო პოლიტიკა

საზოგადოებრივი ტრანსპორტის საჭიროებაზე იორმუღანლოში ძირითადად სტუდენტები და ახალგაზრდები საუბრობენ. გამოკითხულების თანახმად, სოფელში რამდენიმე კერძო მძღოლია, რომელიც საკუთარი მიკროავტობუსით უზრუნველყოფს დედაქალაქის ბაზრებში ადგილობრივი ფერმერების ტრანსპორტირებას. მაგრამ სტუდენტებისთვის მათი განრიგი მოუხერხებელია, შედეგად, ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებულია ტაქსის ძვირი მომსახურებით ისარგებლოს სოფლიდან ცენტრალურ გზამდე მისასვლელად. ცენტრალურ გზაზეც, ტრანსპორტმა, შესაძლოა, საათების განმავლობაში არ გაუჩეროთ. უტრანსპორტობის გამო, ახალგაზრდებს ხშირად კილომეტრების გავლა ფეხით უწევთ. ხოლო ოჯახების ნაწილი საკუთარ შვილებს (უმეტესად გოგონებს), უტრანსპორტობის საბაბით, სწავლის გაგრძელებაში ხელს არ უწყობს.

ამასთანავე, პრობლემურია მუნიციპალურ ცენტრში გამგზავრებაც. მოსახლეობა აცხადებს, რომ საჭიროა რეგულარული ტრანსპორტი მუნიციპალურ ცენტრსა და სოფელს შორის, რადგანაც მუნიციპალურ ცხოვრებაში მონაწილეობა, სერვისების მიღება და ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართვა შეუძლებელია არსებულ რეალობაში, როცა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის საგარეჯოს ცენტრში გამგზავრება შესაძლებელია მხოლოდ კერძო ავტომობილით.

რეკომენდაცია: ***შეიმუშავოს თანმიმდევრული გეგმა, რომელიც იორმუღანლოს თემში მოსახლეობის სოციალურ მობილობასა და განათლების უფლების რეალიზებას შეუწყობს ხელს, მუნიციპალური ტრანსპორტის დანერგვის ან სხვა სატრანსპორტო ალტერნატივების შექმნისა და მხარდაჭერის გზით.***

რეკომენდაცია 6:

სახანძრო და სასწრაფო მანქანების განთავსება იორმუღანლოში

მუნიციპალური ცენტრიდან ფიზიკური სიშორე მოწყვლად მდგომარეობაში აყენებს სოფელს სხვა შემთხვევებშიც. სოფლის ერთ-ერთ მთავარ საჭიროებად სახელდება სახანძრო და სასწრაფო დახმარების მანქანები. ბოლო წლების განმავლობაში იორმუღანლოში რამდენიმე საცხოვრებელ სახლში დაიწვა, ხოლო სახანძრო დახმარების მანქანა მას შემდეგ მივიდა ადგილზე, როცა ყველაფერი უკვე დამწვარი იყო. სოფელში ან სოფლის სიახლოვეს სახანძრო მანქანის არსებობის შემთხვევაში,

მოსახლეობა უფრო დაცულად იგრძნობდა საკუთარ თავს.

რეკომენდაცია: *ადმინისტრაციული თანამშრომლობის და სხვა უწყებებთან კოორდინაციის ფარგლებში გაწიოს ძალისხმევა იორმუღანლოს თემში საგანგებო სიტუაციების მართვასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის შექმნის და მობილიზების მიზნით.*

რეკომენდაცია 7:

სააფთიაქო ქსელისა და ჯანდაცვის რესურსების შექმნის მხარდაჭერა სოფელ კაზლარში

იორმუღანლოს თემის სოფელ კაზლარში არ არის ხელმისაწვდომი აფთიაქი და ამბულატორია, რაც ამ სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და განსაკუთრებით ქალთა და ბავშვთა მდგომარეობაზე მძიმედ აისახება. განსაკუთრებით მობილობასთან და ტრანსპორტთან დაკავშირებული გამოწვევების ფონზე ამგვარი ინფრასტრუქტურისა და სერვისების არ არსებობას ორმაგად მძიმე გავლენა აქვს მოსახლეობის მდგომარეობაზე.

რეკომენდაცია: თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ სააფთიაქო ქსელებთან/კომპანიებთან ადვოკატირების პროცესის ორგანიზება, რათასოფელ კაზლარში მოხერხდეს სააფთიაქო სივრცისა და ამბულატორიის გახსნა.

რეკომენდაცია 8:

სპორტული და კულტურული სივრცეების მშენებლობა/მოწყობა:
იორმუღანლოში არ არსებობს სპორტული და/ან გასართობი სივრცეები.

რეკომენდაცია: *აუცილებელია, იორმუღანლოს სოფლებში დაიწყოს სკვერების, პარკების და სპორტული მოედნების მოწყობა.*

იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო ინიციატივები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება 2024 წლის ბიუჯეტში. დანართის სახით გიგზავნით თითოეული ინიციატივის თაობაზე უფრო დეტალურ აღწერას და საჭიროების დასაბუთებას.